MES 2 23 0001755167

22/12/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 08. 12. 2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:24 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
3. **ქეთევან ზურაშვილი** - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
4. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
5. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
6. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
8. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
9. **მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
10. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. **ნინო ღაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

12. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დ ო ქ ტ ო რ ი ;

13. **თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დ ო ქ ტ ო რ ი ;

14. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პ რ ო ფ ე ს ო რ ი ;

15. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;

16. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

სახელი, გვარი	**სტატუსი**
ანა ჯუღელი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**	**სტატუსი**	**საკითხი**
1	დარეჯან გარდავაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**I**
2	ნინო ქიმერიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი	**I**
3	ზაზა სხირტლაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	**I**
4	ირინე კოშორიძე		ასოცირებული პროფესორი	**I**
5	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**II**
6				**II**

	მარინა ჯავახიშვილი		სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
7	ნათია ღაჭავა	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი	**III**
8	თემურ ტუნაძე	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**IV**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონ ული საშუალებით მონა წილეობი სშესახებ**	**საკითხი**
1	რამუნე ბალევიჩიუტე - ლიუგიენე (Rammune Baleviciute - Liugiene)	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ლეილა გრიგოლია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ლევან ხარაზიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	გიგა ხოსიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I და III
5	სოსო გაზდელიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	თეა კასრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	პაატა გერაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ელენე ჩერქეზია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	დიანა მჭედლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV და V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნებათმცოდნეობის" საბაკალავრო, „კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის" სამაგისტრო, „სახვითი ხელოვნების" საბაკალავრო, "სახვითი ხელოვნების" სამაგისტრო და „ხელოვნებათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებებისდა ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნებათმცოდნეობის" საბაკალავრო, „კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის" სამაგისტრო, „სახვითი ხელოვნების" საბაკალავრო, "სახვითი ხელოვნების" სამაგისტრო და „ხელოვნებათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. პირველი საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნებათმცოდნეობის" საბაკალავრო, „სახვითი ხელოვნების" საბაკალავრო, „კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის" სამაგისტრო, "სახვითი ხელოვნების" სამაგისტრო და „ხელოვნებათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №198; 28.10.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება Fine Arts
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), V კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №36) და VIII კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სახვითი ხელოვნება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №199; 28.10.2011
5		სახვითი ხელოვნება

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სახვითი ხელოვნების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება Fine Arts
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), V კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №36) და VIII კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება № 234, 18.07.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება Fine Arts
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1) და VIII კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სახვითი ხელოვნება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება № 235, 18.07.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სახვითი ხელოვნება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სახვითი ხელოვნების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება Fine Arts
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), V კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №36)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება № 240, 18.07.2012
5		ხელოვნებათმცოდნეობა

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება Fine Arts
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	40
14	განხორციელების ადგილი	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1) და VIII კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა მამუკა ხუსკივაძემ, თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომ ითი ურთიერთობადაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი, რამუნე ბალევიჩიუტე აკრედიტაციის საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა. მისი მოსაზრება წერილის სახით პროგრამის შესახებ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა თორნიკე ბაქაქურმა გააცნო აკრედიტაციის საბჭოს წევრებს.
რამუნე ბალევიჩიუტემ წერილში მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტს კარგად ორგანიზებული ვიზიტისა და თანამშრომლობისათვის. მისი თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ თსუ არის ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში, პანელი აცნობიერებს მის ძლიერ მხარეებს, როგორიცაა სწავლების ხანგრძლივი ტრადიციები, აკადემიური და სოციალური პარტნიორების ფართო ქსელი, ადმინისტრაციული მხარდაჭერის სერვისები და ა.შ. მართალია ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ სახელოვნებო პროგრამებს ადმინისტრაციის/მმართველი რგოლის მხრიდან ყურადღება აკლია, თუმცა პროგრამების ხელმძღვანელები სასწავლო პროცესს დიდი ყურადღებით მეთვალყურეობენ. მაგალითად, როგორც ექსპერტებმა შეიტყვეს, მიუხედავად იმისა, რომ გაცვლითი პროგრამების საკმაოდ ბევრი შესაძლებლობაა, შეფასებული პროგრამების სტუდენტები და კურსდამთავრებულები დიდად არ ფლობენ ამის შესახებ ინფორმაციას. სხვა მაგალითი შეიძლება იყოს საბიბლიოთეკო რესურსები. მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურა საკმაოდ შთამბეჭდავია, უნდა განახლდეს ხელოვნებათმცოდნეობის შესაბამისი ლიტერატურის ფონდები, ამასთანავე, სტუდენტების თხოვნებზე პასუხები უფრო დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ხოლმე გაცემული. მან განაცხადა, რომ თსუ-ს, როგორც დიდ ინსტიტუციას, შეუძლია სტუდენტებს შესთავაზოს სხვადასხვა თემატიკის საგნების ფართო სპექტრი და შექმნას მყარი ჰუმანიტარული საფუძველი მათთვის. ეს შეიძლება ჩაითვალოს უპირატესობადაც, მაგრამ ამავდროულად ჩნდება პროგრამების იდენტობის გამოკვეთის საკითხი. ზოგიერთ შემთხვევაში, მთლად ცხადი არაა თუ როგორი სპეციალისტი უნდა მომზადდეს და როგორ შეესაბამება პროგრამების მიზნები და სწავლის შედეგები თანამედროვე შრომის ბაზრის რეალურ მოთხოვნებს. რამუნე ბალევიჩიუტემ წერილში აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი სერიოზულ სირთულეს გადააწყდა ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სადოქტორო პროგრამის შეფასებისას, რადგან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არც ერთი დისერტაცია არ იყო დაცული და შესაბამის მაგალითს ვერ გაეცნენ ექსპერტები. გარდა ამისა, თვითშეფასების ანგარიშის ტექსტი ზედმეტად ლაკონური იყო და საჭირო იყო დამატებითი ინფორმაციის მოძიება. და ასევე, ზოგჯერ ტექსტების თარგმნა გარკვეულ გაუგებრობასა და უზუსტობებს იწვევდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, დარეჯან გარდავაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნაში მოყვანილი არგუმენტები რეკომენდაციის გაცემის საფუძველთან დაკავშირებით არის ხელოვნური. მისი თქმით, დაწესებულებამ წარმოადგინა დეტალური შრომის ბაზრის კვლევა, რომელშიც გამოკვეთილი იყო შრომითი ბაზრის მოკვლევის მეთოდოლოგია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტები დასკვნაში არ მსჯელობენ, რაც იწვევს იმის განცდას, რომ ზედაპირულად, არასაფუძვლიანად მოეკიდნენ ამ საკითხს, მან განაცხადა, რომ დაწესებულებისთვის გაუგებარია „ხელოვნებათმცოდნეობის" საბაკალავრო პროგრამის მიზნიდან შედეგი ფრაზა: „მიაწოდოს სტუდენტებს სპეციალიზებული ცოდნა მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორიის შესახებ წინაქრისტიანული დროიდან დღემდე“ რატომ არის აბსტრაქტული და პროგრამის იდენტობის განსაზღვრაში ხელისშემშლელი. გარდა ამისა, დაწესებულებისთვის გაუგებარია აღნიშნული პროგრამის მიზნიდან შემდეგი ფრაზა: „მოამზადოს დარგში კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ექნება ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სფეროში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი უნარ-ჩვევები“ ექსპერტების მხრიდან რატომ საჭიროებს განმარტებას. დარეჯან გარდავაძემ

აღნიშნა, რომ „სახვითი ხელოვნების" საბაკალავრო პროგრამის მიმართ გაცემული შენიშვნა, რომელიც დარგის პრაქტიკოსის სპეციალისტის მომზადებას ეხება უსაფუძვლოა მაშინ. როდესაც „სახვითი ხელოვნების" დარგობრივი სტანდარტი ეხება დარგის პრაქტიკოსის სპეციალისტის მომზადებას. სახელოვნებო სფეროში მათ კვლევითი უნარების განვითარება ამ დარგობრივი სტანდარტით არ მოეთხოვებათ. გარდა ამისა, დასკვნაში წერია, რომ დასაქმების სფეროები მიზანში არ არის გამოკვეთილი. დარეჯან გარდავაძის თქმით, დასაქმების სფეროები პროგრამაში სპეციალურად გამოკვეთილ რუბრიკაში უნდა იყოს მოცემული და არა მიზანში. ყველა პროგრამის მიზნებში მოთხოვნილია ისეთი მტკიცებულების წარმოდგენა, რომელიც დაადასტურებს პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებას უცხოეთში განხორციელებული მსგავსი პროგრამების გათვალისწინებით. მას აინტერესებდა, რატომ უნდა იყოს პროგრამის მიზნებში იმ უცხოეთის პროგრამები ჩამონათვალი, რომლებსაც ექსპერტები ისედაც იცნობენ და ითვალისწინებენ.

მისი თქმით, „კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურასა და შინაარსში რეკომენდაციის სახით გაცემულია პრაქტიკული საველე სამუშაოების დამატება. მან აღნიშნა, რომ პროგრამის რვა საგანი სრულად აუდიტორიის გარეთ ხორციელდება. ამაზე მეტი საველე პრაქტიკული სამუშაოების დამატება ვერ მოხდება. შესაბამისად, გაუგებარია რა მიზნით არის აღნიშნული რეკომენდაცია გაცემული პროგრამის მიმართ. „ხელოვნებათმცოდნეობის" სადოქტორო პროგრამის მიმართ გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: „პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უნდა განისაზღვროს და დაზუსტდეს პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.“ მისი თქმით, ის დაშვების წინაპირობა, რომელიც გააჩნია პროგრამას არ საჭიროებს დაზუსტებას იმიტომ, რომ ამაზე მეტი დაზუსტება შეუძლებელია. გარდა ამისა, პროგრამის მიმართ გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია დაზუსტდეს და განისაზღვროს თანამედროვე კვლევის მეთოდოლოგია და სპეციფიკა სადოქტორო დისერტაციისთვის.“ მან აღნიშნა, რომ სადოქტორო დისერტაციისთვის კვლევის მეთოდოლოგია და სპეციფიკა კონკრეტულმა დისერტაციამ უნდა დააზუსტოს და არა პროგრამამ უნივერსალურად. ასევე, რეკომენდებული იყო „კვლევითი პროექტი I“ და „კვლევითი პროექტი II“ სილაბუსებში კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა და დაზუსტება დარგის კვლევის საგნის მიხედვით. მისი თქმით, დაწესებულებამ სასწავლო კურსების არარსებობის გამო ასეთი სილაბუსები არ წარუდგენია. „კვლევითი პროექტი I“ და „კვლევითი პროექტი II“ არის სადოქტორო დისერტაციის ნაწილის ე.წ. აპრობაცია. შესაბამისად, მათ სილაბუსები არ სჭირდებათ. „სახვითი ხელოვნების" სამაგისტრო პროგრამის მიმართ გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია კვლევითი კომპონენტის გაძლიერება“. დარეჯან გარდავაძემ აღნიშნა, რომ „სახვითი ხელოვნების" სამაგისტრო პროგრამა რეგულირდება სახელოვნებო დარგის სტანდარტით. შესაბამისად, აღნიშნულ პროგრამას ეს კომპონენტი არ მოეთხოვება, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ეს პროგრამა ხორციელდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაზაზე, მას კვლევითი კომპონენტი მაინც აქვს წარმოდგენილი. მისი თქმით, დასკვნაში მოცემული 3.1 კომპონენტი აფასებს სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისებს, რომლებიც ექსპერტების მიერ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არის შეფასებული, ხოლო დასკვნაში კერძოდ, პროგრამის აღწერილობით ნაწილში შეფასების საპირისპირო არგუმენტებია მოყვანილი. მან განაცხადა, რომ სტუდენტის მიერ ანონიმურად ლექტორის უარყოფითად შეფასება არ იწვევს მისი სამსახურიდან გაშვებას. ეს მეთოდი არის მიუღებელი. დასკვნაში არ ჩანს თუ რამდენმა სტუდენტმა განაცხადა კონკრეტული ლექტორის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტებს ინტერვიუებისას უფრო მეტი ინფორმაცია უნდა მოეწოდებინათ, რომელიც დასკვნაში იქნებოდა ასახული და ამას შესაბამისი რეაგირება მოჰყვებოდა. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ დაწესებულებამ არ წარმოადგინა საუნივერსიტეტო სტრატეგიის ინგლისურენოვანი ტექსტი. დარეჯან გარდავაძემ განაცხადა, რომ თვითშეფასების

მიხედვით ამ სტრატეგიის ინგლისურენოვანი ტექსტის წარმოდგენა უნივერსიტეტს არ ევალებოდა. გარდა ამისა, ექსპერტებს გასაუბრებისას შეეძლოთ გამოეთხოვათ აღნიშნული დოკუმენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რატომ არ ჰყავს „ხელოვნებათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას კურსდამთავრებული. დარეჯან გარდავაძის თქმით, „ხელოვნებათმცოდნეობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას ბოლო 5 წლის განმავლობაში კურსდამთავრებული სტუდენტი იმიტომ არ ჰყავს, რომ პანდემიის პერიოდი დაემთხვა, რომელმაც ხელი შეუშალა სტუდენტების მიღებას.

საბჭოს წევრმა, თინათინ ჭაბუკიანმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მისი თქმით, მინიმალურის სტანდარტების დოკუმენტში მოცემულია, რომ მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ ან მაგისტრატურასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს შეუძლია ჩააბაროს სადოქტორო პროგრამაზე. ამავე დოკუმენტში წერია, რომ დოქტორანტურაში მიღების წესი რეგულირდება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით. ფაკულტეტის შესახებ დებულების მე-7 მუხლში წერია შემდეგი: „შეიმუშავებს დოქტორანტურის დებულებას და მონაწილეობს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შემუშავებაში“. მას აინტერესებდა, რომელ დოკუმენტშია გაწერილი „ხელოვნებათმცოდნეობის" სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების წესი. დარეჯან გარდავაძის თქმით, საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო დებულებაში არ არის აღნიშნული პროგრამაზე მიღების წინაპირობები, არამედ მოცემულია პროგრამაში. ფაკულტეტი ახორციელებს 10 სადოქტორო პროგრამას. შესაბამისად, ათივე სადოქტორო პროგრამაზე მიღების წესი დაუშვებელია საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო დებულებით განისაზღვროს.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დაადასტურა, რომ პროგრამაში ნამდვილად იყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოცემული. საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, მეხუთე პროგრამის 2.4 კომპონენტში რეკომენდაცია არ არის მოცემული, თუმცა აღნიშნული კომპონენტში შეფასების ნაწილში წერია, რომ მეხუთე პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მას აინტერესებდა, არის თუ არა ეს ტექნიკური ხარვეზი. მან განაცხადა, რომ 3.1 კომპონენტში შეფასებულია როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან. აღნიშნულ კომპონენტში მოცემული რეკომენდაცია კი ეხებოდა მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას, თუმცა ექსპერტები განსხვავებულად მსჯელობენ შეფასების ნაწილში და თვლიანო რომ გაუმჯობესებულია. მას აინტერესებდა, რა არის ამის მიზეზი. გარდა ამისა, 3.2 კომპონენტში და 1.2 კომპონენტში აღწერა არის თუ არა ერთმანეთთან შესაბამისობაში. ასევე, პროგრამის მიმართ გაცემულია შემდეგი რჩევა: „სასურველია უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნულ სახელმძღვანელოებზე წვდომა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში“. აღნიშნული რჩევა დასკვნაში რეკომენდაციის სახით არის მოცემული კერძოდ, ყველა დანადგარი და სხვა აღჭურვილობა აქტიურად იქნას გამოყენებული სწავლების პროცესში, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს სასწავლო პროცესი. მას აინტერესებდა, მოდის თუ არა ერთმანეთთან წინააღმდეგობაში ეს ორის ჩანაწერი.

მისი თქმით, ბიუჯეტთან გაცემული რეკომენდაციები სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. გაუგებარია რატომ არის ასე იმიტომ, რომ იმ პრობლემებზე, რომლებზეც ექსპერტები საუბრობენ არსებითი კავშირი აქვს ბიუჯეტთან. ექსპერტმა გიგა ხოსიტაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიმართ გაცემული რჩევა ეხებოდა არა სავალდებულო ლიტერატურას, არამედ დამატებით ლიტერატურას. შესაბამისად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ აღნიშნული საკითხი რჩევის სახით ყოფილიყო. მატერიალური რესურსის მიმართ გაცემული რეკომენდაცია

უკავშირდებოდა ერთ-ერთ სასწავლო კურსს, სადაც სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ დანადგარები არის, თუმცა გამოყენების შესაძლებლობა არ აქვთ. ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ ყველა მატერიალური რესურსი ენახათ უნივერსიტეტში. ექსპერტმა ლეილა გრიგოლიამ განაცხადა, რომ ხელოვნური ინტელექტი სახვით ხელოვნებაში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ფერწერის ან გრაფიკის ჯგუფში, რომელსაც ადასტურებს ესტონეთის ხელოვნების უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული პრაქტიკა. გიგა ხოსიტაშვილმა ბიუჯეტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 3.1 და 3.2 კომპონენტში რეკომენდაციები არ უკავშირდება ფინანსურ დანახარჯებს. შესაბამისად, ბიუჯეტის მიმართ პრობლემა არ დგას.

ლეილა გრიგოლიამ აღნიშნა, რომ კვლევით პროცესებთან მიმართებით რეკომენდაცია გაიცა იმიტომ, რომ ყველა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომი არ იყო განხილული კვლევითი მეთოდოლოგიით. საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ „შესავალი კულტურის მეცნიერების“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მისი თქმით, ამ საგნის შეფასებით კომპონენტში გაუგებარია დასკვნითი, შუალედური და კოლოკვიუმის გამოცდის ქულები იმიტომ, რომ ჯამი ამ ქულებისა არ არის სასწავლო კურსის აღწერაში მოცემული ქულის შესაბამისი. მას აინტერესებდა, რა არის ამის მიზეზი. მისი თქმით, „მეცნიერებების მენეჯმენტში“ ცოდნა და გაცნობიერება და უნარები ერთმანეთშია არეული. მაგალითად, ცოდნა და გაცნობიერება შეიცავს იმას, რასაც უნარები. გარდა ამისა, დასწრება აქტივობაში აღნიშნულ კურსში წერია 10 ქულა. მას აინტერესებდა, რა არის ამის მიზეზი.

ერმილე მესხიამ „სამუზეუმო კოლექციების მართვის“ კურსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პედაგოგს მდიდარი ლიტერატურა აქვს მითითებული სილაბუსში, თუმცა მითითებული არ არის ბრიტანელი ავტორის წიგნი, რომელიც ეხება კოლექციების, ექსპოზიციების მართვას, რომელიც ქართულად თარგმნილია. მას აინტერესებდა, რატომ არ არის სასწავლო კურსის „სამუზეუმო კოლექციების მართვის“ სილაბუსში მითითებული ეს ლიტერატურა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ქიმერიძემ განაცხადა, რომ „მეცნიერებების მენეჯმენტში“ დასწრება აქტივობაში აღნიშნულ 10 ქულა არის ტექნიკური ხარვეზი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ირინე კოშორიძემ „სამუზეუმო კოლექციების მართვის“ სილაბუსში მითითებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ლორდების სახელმძღვანელო, რომელიც ეხება სამუზეუმო ექსპოზიციებს არის ცალკე საგანში კერძოდ, „სამუზეუმო ექსპოზიციების დროებითი გამოფენებში“. საბჭოს წევრმა, ნინო ღაღანიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, 4.3 კომპონნეტი ყველა პროგრამისთვის მეტწილად არის შეფასებული. მას აინტერესებდა, რა დოკუმენტებს ეყრდნობოდნენ ექსპერტები აღნიშნული შეფასების დროს. გარდა ამისა, რა მექანიზმი აქვს დაწესებულებას ლიტერატურის განახლების. ექსპერტმა გიგა ხოსიტაშვილმა აღნიშნა, რომ ლიტერატურის განახლება „სახვითი ხელოვნების“ პროგრამის მიმართ არის რჩევა იმიტომ, რომ სტუდენტებთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ ძირითადი სასწავლო მასალა არის პედაგოგის მიერ შედგენილი რიდერი და ქართულენოვანი სახელმძღვანელოები, ხოლო პროგრამაში დამატებით ლიტერატურაში მითითებულია რუსულენოვანი სახელმძღვანელოები. მისი თქმით, ეს უკანასკნელი სტუდენტებში პოპულარობით არ სარგებლობს. შესაბამისად, სასურველია მათი განახლება და შეცვლა ქართული ან ინგლისური ენის ლიტერატურის სახით. ლეილა გრიგოლიამ განაცხადა, რომ პროგრამების შეფასება განხორციელდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და ინტერვიუების საფუძველზე.

ნინო ღაღანიძემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა მეტი ინფორმაცია მოეწოდებინა კვლევითი პროექტის შესახებ საბჭოს წევრებისთვის. „ხელოვნებათმცოდნეობის" სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელმა ზაზა სხირტლაძემ განაცხადა, რომ პროგრამაზე ჩასარიცხად აპლიკანტმა უნდა წარადგინოს განცხადება. განცხადების შემდეგ ხდება გასაუბრება იმის თაობაზე თუ რა მიმართულებით შეიძლება მან იმუშაოს. ამისთვის აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ესე, რომელიც გაივლის რეცენზირებას. რეცენზირების გავლის შემდეგ აპლიკანტი წარდგება ინსტიტუციის საბჭოს წინაშე და აქ გადაწყდება მიცემა თუ არა მას რეკომენდაცია სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების შესახებ. „ხელოვნებათმცოდნეობის"

სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვისა და ხელმძღვანელის დანიშვნის მომენტიდან ის იწყებს მუშაობს კონკრეტულ საკვლევ თემაზე. სტუდენტს თავდაპირველად მოეთხოვება კოლოკვიუმი. კოლოკვიუმის წინაპირობა არის ერთი თავი სადოქტორო ნაშრომისა. ნინო ქიმერიძემ აღნიშნა, რომ სტანდარტით კოლოკვიუმს კვლევითი პროექტი ჰქვია, რომელიც არ ფასდება. დარეჯან გარდავაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებისთვის ყველაზე მისაღები „Benchmarking"-ი არის დარგობრივ სტანდარტზე მუშაობა, რომელიც საერთაშორისო გამოცდილებას ეფუძნება. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ აღნიშნულ დარგობრივ სტანდარტის შემუშავებაში ჩართული იყვნენ პროგრამის წარმომადგენლები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:32
დასრულების დრო: 17:43

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნებათმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 1.1 და 1.2 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". შესაბამისად, პირველი სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". 2.2 და 2.3 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". შესაბამისად, მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". 3.1 კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". შესაბამისად, მესამე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". 4.3 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", რასაც არ გამოუწვევია მთლიანად მეოთხე სტანდარტის შეფასების ცვლილება. 5.1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", რასაც არ გამოუწვევია მთლიანად მეხუთე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ

ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნებათმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სახვითი ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 1.1, 1.2 და 1.5 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. შესაბამისად, პირველი სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.2 და 2.3 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. შესაბამისად, მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 3.1 კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. შესაბამისად, მესამე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 4.3 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. შესაბამისად, მეოთხე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 5.1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, რასაც არ გამოუწვევია მთლიანად მეხუთე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სახვითი ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 1.1 და 1.2 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, რასაც არ გამოუწვევია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება. 2.2 და 2.3 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. შესაბამისად, მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 3.1 კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. შესაბამისად, მესამე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 4.3 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, რასაც არ გამოუწვევია მეოთხე სტანდარტის შეფასების ცვლილება. 5.1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, რასაც არ გამოუწვევია მთლიანად მეხუთე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის „კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სახვითი ხელოვნების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 1.1 და 1.5 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. შესაბამისად, პირველი სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.2 და 2.3 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. შესაბამისად, მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 3.1 კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. შესაბამისად, მესამე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 4.3 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო 4.4 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, რასაც არ გამოუწვევია მეოთხე სტანდარტის შეფასების ცვლილება. 5.1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, რასაც არ გამოუწვევია მთლიანად მეხუთე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის „სახვითი ხელოვნების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნებათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. შესაბამისად, მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 3.1 კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. შესაბამისად, მესამე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 4.3 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, რასაც არ გამოუწვევია მეოთხე სტანდარტის შეფასების ცვლილება. 5.1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, რასაც არ გამოუწვევია მთლიანად მეხუთე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხელოვნებათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია მეტი ყურადღება მიექცეს საკვალიფიკაციო ნაშრომებს, განსაკუთრებით აკადემიური და სამეცნიერო სტანდარტების კუთხით, რათა ნაშრომი მოიცავდეს: სანდო წყაროებს, აკადემიურ სტილს, მოწესრიგებულ ბიბლიოგრაფიას, სამეცნიერო ტექსტის არქიტექტონიკას.
2. რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს ვადები დოქტორანტებისთვის, რათა მათ დროულად წარმოადგინონ როგორც სემესტრული კოლოქვიუმები, ასევე სადისერტაციო ნაშრომი.
3. რეკომენდებულია შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმების ამოქმედება, პროგრამების მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია ჩატარდეს უცხოურ უნივერსიტეტებში განხორციელებული მსგავსი პროფილის პროგრამების შედარებითი ანალიზი და მიზნების ჩამოყალიბებისას მოხდეს ამ ანალიზის შედეგების გათვალისწინება.
- სასურველია სწავლის შედეგების განახლება, რაც ტრანსფერული უნარების განვითარებას გულისხმობს.
- სასურველია უზრუნველყოფილ იქნას სწავლის შედეგების შესაბამისობა შრომის ბაზრის საჭიროებებთან.
- სასურველია, რომ ყველა დაინტერესებული მხარე ჩართული იყოს სწავლის შედეგების განვითარებაში.
- სასურველი იქნება, არჩევით კურსებს აკადემიური წერაც დაემატოს.
- სავალდებულო კურსების საგნებს დაემატოს დარგობრივი ინგლისური ენის კურსები დარგის ტერმინოლოგიის მიხედვით.
- გაიზარდოს სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებებში საზღვარგარეთ.
- სასურველია კულტურულ, საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის გააქტიურება პროფესიული პრაქტიკის მეტი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.
- სწავლების მეთოდოლოგიას დაემატოს კრიტიკული ანალიზი.
- უნდა დაემატოს მეტი პრაქტიკული საველე სამუშაოები.
- სწავლების მეთოდოლოგიას დაემატოს კრიტიკული ანალიზი.
- სასწავლო პროცესისთვის სასურველი იქნება, თუ განისაზღვრება კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგია, როგორიცაა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება კვლევის პროცესში და ხელოვნური ინტელექტის ჩართვა.
- უნდა გაძლიერდეს საერთაშორისო მობილობა და მეტი სტუდენტი ჩაერთოს გაცვლით პროგრამებში.
- სასურველია გაიზარდოს და გახშირდეს სტუდენტებისათვის სასარგებლო აქტივობები/ღონისძიებები როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო დონეზე.
- სასურველია ხელმძღვანელებმა გააძლიერონ თავიანთი კომპეტენციები კვლევის უახლესი მეთოდებისა და მეთოდოლოგიების ათვისებაში და უფრო აქტიურები იყვნენ საერთაშორისო კვლევის ასპარეზზე.
- გააძლიერეთ პერსონალის მონაწილეობა კვლევით და სახელოვნებო პროექტებში.
- სასურველია, უფრო მეტი და მრავალფეროვანი ტრენინგების ჩატარება აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის.
- უნივერსიტეტმა უნდა გააფართოვოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, სასურველია აკადემიურმა პერსონალმა უკუკავშირი მიიღოს წერილობითი ფორმით, როგორც დადებით, ასევე უარყოფით შემთხვევებში.
- სასურველია სტუდენტების გამოკითხვაში დაემატოს რამდენიმე ღია შეკითხვა. ეს შეიძლება მიმზიდველი იყოს ზოგიერთი სტუდენტისთვის, ვისაც სურს საკუთარი თავი ნარატივის საშუალებით გამოხატოს.
- სასურველია დაწესებულებამ გააძლიეროს თანამშრომლობა დამსაქმებლებთან მოცემული სასწავლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით.

„ხელოვნებათმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია რიდერების გაკეთება.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტთა დროული ინფორმირება შეფასების შედეგებთან დაკავშირებით.

„ხელოვნებათმცოდნეობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რჩევები:

- სასურველია პროგრამის მიზნების ხელახალი ფორმულირება ისე, რომ ისინი კონკრეტული გახდეს.
- სასურველია პროგრამის მიზნების ხელახალი ფორმულირება ისე, რომ ისინი კონკრეტული გახდეს.

„სახვითი ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რეკომენდაციები:

- ხატვისა და ფერწერის ინსტრუმენტები საჭიროებს განახლებას.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუვნელყოს სტუდენტთა დროული ინფორმირება შეფასების შედეგებთან დაკავშირებით.
- ხატვისა და ფერწერის ინსტრუმენტები საჭიროებს განახლება.

„სახვითი ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რჩევები:

- პროგრამის მიზნების ხელახალი ფორმულირება ისე, რომ ისინი უფრო სპეციფიური და კონკრეტული გახდეს.
- პროგრამის მიზნების ხელახალი ფორმულირება ისე, რომ ისინი უფრო კონკრეტული გახდეს.
- სასურველია გადაიხედოს სწავლის შედეგი „აღწერს და განასხვავებს ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარების ძირითად ეტაპებს, კონცეფციებს და მეთოდებს, ფილოსოფიის, ისტორიის, ხელოვნების ძირითად ამოცანებს, ეტაპებს, ფაქტებს და მოვლენებს“, და უფრო რეალისტური და მიღწევადი გახდეს.
- სასურველია, გაიზარდოს ძირითადი საგნების საათები და დაემატოს პლასტიკური ანატომია.
- ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს აკადემიურ პერსონალს, სერიოზულად გადახედოს სახელმძღვანელოებს (რომლებიც გამოიცა 1970-1980 წლებში რუსულ ენაზე) და დარწმუნდეს, რომ ისინი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

„კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრ ამისთვის რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომისთვის თანამედროვე კვლევის მეთოდოლოგიისა და სპეციფიკის დაზუსტება და განსაზღვრა.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის „მეცნიერების მენეჯმენტი“ სწავლის შედეგები სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა და დაზუსტება.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუვნელყოს სტუდენტთა დროული ინფორმირება შეფასების შედეგებთან დაკავშირებით.
- რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას სასწავლო კურსი "აკადემიური წერა".

„კულტურული მემკვიდრეობის და თანამედროვეობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრ ამისთვის რჩევები:

- სასურველია II მოდელის - ახალი და თანამედროვე ხელოვნების - მიზნების უფრო მკაფიო ასახვა ზოგად სასწავლო შედეგებში, რადგან ისინი თანამედროვე ხელოვნების საკითხებს უკავშირდება.
- პროგრამის მიზნების გადახედვა ისე, რომ გამოვლინდეს პროგრამის ინდივიდუალურობა. მიზნების სხვადასხვა განმარტებების კონცენტრირება მთავარ მიზნებში.
- სასურველია სტუდენტების სურვილების გათვალისწინება და პროგრამაში პრაქტიკული საველე სამუშაოების დამატება

„სახვითი ხელოვნების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ფორმულირების გადახედვა, რათა დავრწმუნდეთ, რომ სწავლის შედეგები სწორ კატეგორიას მიეკუთვნება (ცოდნა ან უნარები).
- რეკომენდებულია კვლევის კომპონენტის უფრო მკაფიო ასახვა უნარების ნაწილში.
- ხატვისა და ფერწერის ინსტრუმენტები საჭიროებს განახლებას.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუვნელყოს სტუდენტთა დროული ინფორმირება შეფასების შედეგებთან დაკავშირებით.
- რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას სასწავლო კურსი "აკადემიური წერა".

„სახვითი ხელოვნების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რჩევები:
რჩევები არ ფიქსირდება

„ხელოვნებათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სწავლის შედეგების ფორმულირება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად.
- რეკომენდებულია დაზუსტდეს და განისაზღვროს თანამედროვე კვლევის მეთოდოლოგია და სპეციფიკა სადოქტორო დისერტაციისთვის.
- სილაბუსში „სწავლის/ სწავლების მეთოდები და სტრატეგიები“ სავალდებულო უცხოენოვანი ლიტერატურისა და დამატებითი ლიტერატურის განახლება.
- რეკომენდებულია „კვლევითი პროექტი I“ და „კვლევითი პროექტი II“ სილაბუსებში კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა და დაზუსტება დარგის კვლევის საგნის მიხედვით.

„ხელოვნებათმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის რჩევები:

- სასურველია, რომ კამპუსში შექმნათ დოქტორანტებისათვის ინდივიდუალური სამუშაო სივრცე , რადგან ბიბლიოთეკაში ყოფნა და სხვა სტუდენტებთან მუშაობა შეიძლება არ იყოს მაინც და მაინც რელევანტური და გამოსადეგი დოქტორანტებისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგჯერ მათ შეიძლება ჰქონდეთ ონლაინ-შეხვედრები, მათი კვლევის მონაცემების შეგროვებისას.

2. მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 19 ივლისის №56 გადაწყვეტილებით
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	7
9	კვალიფიკაციის დასახელება	მშენებლობის ინჟინერიის და მენეჯმენტის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0788 ინტერდისციპლინარული

		მოიცავს ინჟინერიას, წარმოებას და მშენებლობას
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო 0160 ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №68
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს ქეთევან ქუთათელაძემ და მარინა მაისურაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
სხდომას შემოუერთდა ნინო ჭალაგანიძე, ხოლო სხდომა დატოვეს ქეთევან ზურაშვილმა, მარინა ქავთარაძემ და ლაშა ჩხარტიშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი, თეა კასრაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ "მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2016 წლის 19 ივლისს. პროგრამა აკრედიტებულია 2026 წლის 31 დეკემბრამდე. მისი თქმით, პროგრამა მოვიდა შესაბამისობაში კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და სასწავლო სფეროების კლასიფიკატორთან. შესაბამისად, პროგრამაზე ჩატარდა მონიტორინგი, რომლის საფუძველზეც გაიცა 8 რეკომენდაცია. აკრედიტაციის საბჭოს მიერ განისაზღვრა 60 დღე გაცემული რეკომენდაციების შესრულებულად. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, დავით მახვილაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:50
დასრულების დრო: 17:53
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. მესამე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №67, 6.04.2012, აკრედიტებული 2021 წლის 1 ივლისამდე
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	ავტორიზებული №67 07/09/2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	7
9	კვალიფიკაციის დასახელება	გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		ბიოქიმია 0512

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქუთაისი, 4600, თამარ მეფის ქუჩა № 59
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი გიგა ხოსიტაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. გარდა ამისა, მოხდა დამატებით რამდენიმე დოკუმენტის გამოთხოვა. მისი თქმით, შემოწმდა სამი სტანდარტი კანონმდებლობით დადაგენილ წესით. პროგრამის მიმართ გაიცა ორი რეკომენდაცია. ერთი რეკომენდაცია ეხება სწავლის შედეგების ჩამოყალიბებას პროგრამაში, ხოლო მეორე კონკრეტულ სასწავლო კურსებში წინაპირობების გადახედვას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, ნათია ღაჭავა მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, რეკომენდაციებზე მუშაობა დაწყებულია. აქტიური ზმნების გამოყენება უნარების ნაწილში უკვე ასახულია პროგრამის კურიკულუმში. გარდა ამისა, შესაბამისობაში მოვიდა სასწავლო გეგმაში, სილაბუსში ასახული წინაპირობები. დაწესებულებამ გაითვალისწინა რჩევა, რომელიც დაკავშირებული იყო სასწავლო კურსის სახელწოდებასთან დაკავშირებით. ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამა გრანტის ფარგლებშია შემუშავებული 2012 წელს. პედაგოგები ცდილობენ, რომ ახალი ლიტერატურით ასწავლონ სტუდენტებს დარგი. სასწავლო პროცესის დროს გამოიყენება რიდერები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამის მიღების წინაპირობები არ ითვალისწინებს უცხო ენის ჩაბარებას პროგრამაზე აპლიკანტის მიერ, თუმცა პროგრამის სასწავლო კურსების როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ლიტერატურა უცხოენოვანია. მას აინტერესებდა, შეძლებს თუ არა სტუდენტი უცხოენოვან ლიტერატურაზე მუშაობას. ნათია ღაჭავამ აღნიშნა, რომ პროგრამის საბაკალავრო საფეხურზე ინგლისურ ენას 4 სემესტრი ეთმობა, რომლის გავლის შემდეგ სტუდენტი ფლობს B2 დონეს. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხულთა სტუდენტთა უმეტეს ნაწილს გავლილი აქვს 4 სემესტრიანი ინგლისური ენის კურსი. შესაბამისად, უცხოენოვანი ლიტერატურაზე მუშაობა დაძლევადია. საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენი აქტიური სტუდენტია აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე. ნათია ღაჭავამ განაცხადა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო პროგრამაზე სულ 5 აქტიური სტუდენტია, რომლებსაც გრანტის გამოყენების შესაძლებლობა არ აქვთ იმიტომ, რომ პროგრამა ავტორიზებულ რეჟიმში ხორციელდება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:05
დასრულების დრო: 18:09
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

4. მესამე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაცია 4 ნოემბერი 2022, №1425437

		(ცვლილება - 4 ოქტომბერი 2023, №1304444)
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	-
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	6
9	კვალიფიკაციის დასახელება	-
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	ზოგადი განათლების საგნები/საგნების ჯგუფი (აირჩიეთ ერთი): • ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); • მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური); • ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); • ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური); • ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური); • სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური); • სპორტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური).
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0114 - მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფ. ტაკიძეები, დაბა ხიჭაური
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

5. მეხუთე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო

		საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	4 ნოემბერი 2022, №1425406
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	7
9	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მაგისტრი (შემდგომი საგნების სწავლების უფლებით: ზოგადი განათლების საბაზისო და საშუალო საფეხურის საგნები/საგნების ჯგუფი: I-IV კლასი - ქართული ენა, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (ძირითადი); არჩევითი (აირჩიეთ ერთი): V-VI კლასები: მე და საზოგადოება, ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერება, „ჩვენი საქართველო“.)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	300
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0114 - მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
14	განხორციელების ადგილი	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფ. ტაკიძეები, დაბა ხიჭაური
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს შემოუერთდა ქეთევან ზურაშვილი
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე და მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი დიანა მჭედლიშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ აღნიშნულმა პროგრამებმა გაიარა კლასტერული აკრედიტაცია 2022 წელს. მისი თქმით, პროგრამების მიმართ გაიცა 9 რეკომენდაცია. პირველი ეხება მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამას, ხოლო დანარჩენი ორივე პროგრამას. დაწესებულებაში შეიქმნა რეკომენდაციების შესრულებაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებული იყო როგორც ადმინისტრაციით, ისე აკადემიური და მოწვეული პერსონალით. მან აღნიშნა, რომ მეორე რეკომენდაციაზე დაწყებულია შესრულება. მეხუთე და მეექვსე რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია, ხოლო დანარჩენი რეკომენდაცია სრულად შესრულებულია უნივერსიტეტის მიერ. გარდა ამისა, დაწესებულებამ 7 რჩევიდან 5 სრულად შეასრულა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა მიერ შესრულებულ დასკვნას უნივერსიტეტი იზიარებს, თუმცა რამდენიმე რეკომენდაცასა და რჩევაზე განსხვავებული პოზიცია აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს არ არის ერთჯერაადად შესასრულებელი რეკომენდაცია, არამედ გრძელვადიანია, რომელზეც დაწესებულება მუდმივად უნდა მუშაობდეს. მას აინტერესებდა, როგორც გეგმავს აღნიშნულ რეკომენდაციაზე დაწესებულება მუშაობას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს სამეცნიერო ბაზებზე წვდომა აქვს. ექსპერტები რეკომენდაციაში საუბრობენ მხოლოდ სამეცნიერო ბაზების გამოყენების ინტენსიურობაზე. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ აკადემიურ პერსონალს წვდომა აქვს მათზე. გარდა ამისა, მუდმივად ტარდება ტრენინგები სამეცნიერო ბაზების გამოყენების ინტენსიურობასთან დაკავშირებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:19

დასრულების დრო: 18:23

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრაციული წარმოების პროცესის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

სხდომა დახურულად გამოცხადდა - 18:24 საათზე

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი